

ჟორჟ დიუმეზილი – ლაზურის მკვლევარი

ცნობილ ფრანგ ფილოლოგ-კომპარატივისტს, ენათმეცნიერს, კავკასიოლოგს, რელიგიის ისტორიის, ეპოსისა და შედარებითი მითოლოგიის მკვლევარს ჟორჟ დიუმეზილს (4. 03. 1898 – 11. 10. 1986) მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში.

სტამბოლის უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში ჟ. დიუმეზილი დაინტერესდა კავკასიური ენებით, ჩაიწერა კვდომის გზაზე მდგარი უბიხური ენის მასალები, ასევე აფხაზური, ჩერქეზული, ლაზური ტექსტები, რომელიც შემდგომ 5 ტომად გამოსცა „კავკასიის ენათა და ტრადიციათა ანატოლიური დოკუმენტების“ სერიით. ის არის ავტორი მონოგრაფიებისა: „შედარებითი ნარკვევები ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ ენათა შესახებ. მორფოლოგია“ (1932); „შედარებითი ძიებანი კავკასიური ზმნის შესახებ“ (1933); „უბიხური ზმნა“ (1975)...

ჟორჟ დიუმეზილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში. მის მიერ რამდენიმე ნაწილად გამოცემული ლაზური ტექსტები დღემდე შეუცვლელი და უმნიშვნელოვანესი საკვლევო მასალაა ქართველოლოგებისათვის.

1937 წელს პარიზის უნივერსიტეტის ეთნოლოგიური ინსტიტუტის ნაშრომებისა და მემუარების XXVII ტომად გამოცემული „ლაზური ზღაპრები“ (**Contes Lazes**, Pariz, 1937) ჟ. დიუმეზილს 1930-1931 წლებში ჩაუწერია არქაბეში გაზრდილი ბათუმელი ლაზისგან, 20 წლის ნიაზ ბანისაგან. კრებული შედგება ზღაპრების, ეთნოგრაფიული ხასიათის ტექსტების, ლექსისა და ენის გასატეხისაგან. ტექსტებს ახლავს ზედმიწევნითი და ლიტერატურული თარგმანი ფრანგულ ენაზე.

პირველი ზღაპრის (**დევეფიშ მპილაფუ** „დევეების მკვლელი“) ყველა ზმნური ფორმა განმარტებულია. განმარტებისას ჟ. დიუმეზილი ხშირად

იმოწმებს ნ. მარს, რომელსაც შემდგომ (1967 წლის პუბლიკაციის შესავალში) დიდი მადლიერებით მოიხსენიებს და მიუთითებს, რომ დიდი ხნის მანძილზე მისი „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა ქრესტომათიით და ლექსიკონით“ (1910 წ.) ერთადერთი გზამკვლევი იყო ლაზურის შესწავლის საქმეში. მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებს ზოგიერთი ზღაპრის ლაზურ წარმომავლობას, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ტექსტების წარმომავლობა, არამედ მათი ენა.

საკმაოდ ვრცელ შესავალში ჟ. დიუმეზილი განიხილავს მის მიერ ჩაწერილი ტექსტების ენობრივ ბუნებას, ძირითადად ფონეტიკურ პროცესებს და ზმნურ ფორმებს; თურქულის გავრცელების არეალს (ის მოიცავს არამარტო ლექსიკას, არამედ თავს იჩენს მორფოლოგიასა და სინტაქსში).

1967 წელს გამოცემული „კავკასიის ენათა და ტრადიციათა ანატოლიური დოკუმენტების“ სერიით გამოიცა ჟ. დიუმეზილის „ლაზური მოთხრობები“ (Georges Dumézil, Documents Anatolies sur les langues et traditions du Caucase, IV. – Regits Lazes (Dialecte d'Arhavi), Paris, 1967). ტექსტები ჩაწერილია 1960-1964 წლებში სტამბულში არქაბის ახლოს მდებარე სოფელ შენქოუში მცხოვრები მუჰსინ ეროლისაგან.

„მოთხრობები“ შეიცავს 56 არქაბულ ტექსტს, რომელიც 4 ციკლშია გაერთიანებული (ზღაპრები, ანეგდოტები, ორჭული ისტორიები, თავგადასავლები). მასალას უძღვის შესავალი და ვრცელი „გრამატიკული ესკიზი“, რომელიც 45 პარაგრაფისაგან შედგება. „ესკიზში“ ზედმიწევნით არის განხილული ლაზურის ფონეტიკა, ფონეტიკური პროცესები, მორფოლოგიის საკითხები. ზოგიერთი რამ ჟ. დიუმეზილის დასკვნებიდან საკამათოა, მაგრამ ნაშრომს უზომოდ დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს. მაგ., მკვლევარი მიიჩნევს, რომ ყველა ლაზური სახელი ბოლოვდება ხმოვანზე (სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანს ფუძისეულად განიხილავს). მისი აზრით, თანხმოვანფუძიან ნასესხებ სიტყვებს ემატება ი: **ფადიშა(ჰ)+ი**; მრავლობითი რიცხვის ნიშნად -**ფე** სუფიქსს მიიჩნევს და სიტყვებს ასეთ სეგმენტებად ჰყოფს: **ნჯა-ლე-ფე** „ხეები“, **დიდი-ლე-ფე** „დიდები, უფროსები“.. თუმცა ტექსტის

მორფემებად დაყოფილ სიტყვებს ასე წარმოგვიდგენს: ვეზირ-ეფე-ქ „ვეზირებმა“, კაპლან-ეფე-შ „ვეფხვების“...

ტექსტებს ლექსიკონი არ ახლავს, მაგრამ მისი არქონის კომპენსაციას ახდენს ზედმიწევნითი ფრანგული თარგმანი და ლექსიკურ-გრამატიკული კომენტარი. თითოეულ ტექსტს ახლავს ანკარის უნივერსიტეტის პროფესორის პერტევ ნაილი ბორატავის რემარკები, რომელიც განიხილავს მათ თურქულ ფოლკლორთან მიმართებაში. რამდენიმე ტექსტის ბოლოს ჟ. დიუმეზილი მიუთითებს, რომ მისი ვარიანტი უკვე გვხვდება არნ. ჩიქობავას ლაზური ტექსტების კორპუსში.

„ლაზური მოთხრობების“ ენა მრავალმხრივაა საინტერესო.

პირველი ზღაპარი (არსლანიშ სქირი „ლომის შვილი“) ჟ. დიუმეზილს 1930 წელს ჩაუწერია ნიაზ ბანისაგან. მ. ეროლს ტექსტი შეუმოწმებია და რედაქტირება გაუკეთებია. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ინფორმატორს აუსლაუტში აღუდგენია ყველა ა, ო, უ, თითქმის ყველა ი. სამაგიეროდ, დაუტოვებია ინტერვოკალური რ, რომელსაც თავად ცოცხალ მეტყველებაში ან მ-დ აქცევდა, ან საერთოდ არ წარმოთქვამდა. სხვა ტექსტებში (60-იან წლებში ჩაწერილში) რ დაკარგულია, ან მ-ს გვაძლევს (დიცხირი > დიცხიდი „სისხლი“, თოფური > თოფუდ „თაფლი“, მასარი > მასად „მესერი“, მქვერი > მქვედი „ფქვილი“, ღურერი > ღურედი „მკვდარი“, ოხორი > ოხოდ / ოხო „სახლი“, ახირი > ახიდი „თავლა“, ბარაბერი > ბააბედი „ერთად“, სარი > სადი „ყვითელი“...). ეს მოვლენა გვაგარაუდებინებს, რომ არქაბულში 60-იან წლებში რ-ს იოტიზაციის პროცესი დასრულებულია.

ძალზე სუსტი ჩანს ჰაე ანლაუტსა და ინტერვოკალურ პოზიციაში. ხშირ შემთხვევაში დაკარგულია, ან წარმოდგენილია ვარიანტების სახით: ანდლა // ჰანდლა „დღეს“, ანთეფე // ჰანთეფე „ესენი“, ანწო // ჰანწო „წელს“, ადა // ჰადა „ეს“, ეკო // ჰეკო „იმდენი“, ფადიშაი // ფადიშაჰი, დაა // დაჰა „კიდევ უფრო“...

ბუნებრივად გვხვდება მეგრულ-ლაზურისთვის დამახასიათებელი სონორის განვითარების შემთხვევები (**გალე // ნგალე** „გარეთ“, **გაარი // ნგაარი** „საჭმელი, პური“, **დაძი // ნდაძი** „ეკალი“, **დიხა // ნდიხა** „მიწა“, **თარო // ნთარო** „კარადა“, **კერა // ნკერა** „კერია“...). ხშირად ეს ფორმები გვერდი-გვერდითაა წარმოდგენილი.

პირველი ტექსტის (30-იან წლებში ჩაწერილი) 83 წინადადება მკვლევარს სეგმენტირებული აქვს მორფოლოგიურ ელემენტებად. გარკვეულ შემთხვევაში ეს დაყოფა ჩვენთვის მიუღებელია, მაგ., არ გამოყოფს სახელობითი ბრუნვის ნიშანს (იხ. ზემოთ), აგრეთვე საეჭვოდ მიგვაჩნია **დ-ა-ნჯირ-უ-დორენ** „დასძინებია“, **დ-ა-ჭკონდ-უ-დორენ** „დაღლილა“, **გ-ო-ნწკ-აფ-უ** „გააღებინა“... სეგმენტაცია.

ასევე არაერთგვაროვნად არის სეგმენტირებული -**კულე** / -**ქულე** ზმნისართიანი ფორმები: **ღურუტუ-შქულე** „რომ კვდებოდა“, **ამახტუ-შქულე** „რომ ავიდა“, **კითხუ-შქულე** „რომ ჰკითხა“... მეორე მხრივ, **იდათ-შ-ქულე** „რომ წახვიდეთ“, **იყუ-შ-ქულე** „რომ იყო“...

არქაული დიალექტის ფონეტიკურ სისტემაში თვალს ხვდება ლაზურისთვის უცხო დიფთონგთა სიმრავლე ზმნურ ფორმებში: **გორნკოლუ** „დაკეტა“, **გორლუმჯუ** „დაუღამდა“, **გორხუნუ** „დასვა“, **ქოგორჭკეს** „დაიწყეს“, **ქოგორდუ** „დაარქვა“, **გორსუ** „გაუსვა“, **ორჭოფუ** „უყიდა“...

ჭ თანხმოვანი ბუნებრივად გვხვდება ნასესხებ სიტყვებში: **ეტრაჭი** „ირგვლივ, გარშემო“, **ზამჭარა** „საყვარელი, მექალთანე“, **ზაიჭი** „გამხდარი, მჭლე“, **თუჭელი** „თოფი“, **მარიჭეთი** „მარიფათი, შნო“, **მუსაჭირი** „სტუმარი“, **ჭუკარა** „ღარიბი“, **ჭორკა** „კაბა“. საინტერესოა, რომ ქართველურისთვის უცხო **ჭ** ასევე დაჩნდება ძირეულ ლექსიკაში: **იმცქეტუ** „ტრახახობდა“, **ქომოთჭუ** „გადაეფარა“, **ეთჭალერი** „გადაფარებული“, **მოთჭალერი** „დახურული, დაფარული“, **მთჭიმი** „თოვლი“, **სოჭ-შაქის** „სანამდე“...

ხშირად ნასესხები სიტყვები (და არამართო ნასესხები) ფონეტიკური ვარიანტების სახით არის გადმოცემული, მაგ.: **ღუნდა** /

დუნა „ქვეყანა“, დუქან / დუქან „დუქანი“, საათი / საათი „საათი“, ჭუკარა / ფუკარა „ღარიბი“, არკადაში / არქადაში „ამხანაგი“, თერცინე / თერსინე „უკუღმა“...

„მოთხრობებში“ ძალზე საინტერესოდ არის წარმოდგენილი მორფოლოგიის და სინტაქსის მთელი რიგი საკითხები.

ჟ. დიუმევილის დაინტერესება ლაზურით ამ ნაშრომებით არ ამოიწურება. ქართველოლოგიური კრებულის „ბედი ქართლისას“ XXIX-XXX-ში (პარიზი, 1972) გამოქვეყნებულია „არდემნული ლაზური ტექსტები“ ეს არის ართაშნელი ოსმან შენალისაგან ჩაწერილი მოკლე ტექსტები, რომელსაც ახლავს არქაბული და ხოფური ვარიანტები. თითოეულ ტექსტს ახლავს კომენტარები – ზმნები სეგმენტირებულია და განხილულია გრამატიკული კატეგორიების მიხედვით.

ასევე საინტერესოა “ფერდინანდ დე სოსიურის რვეულების” # 41 (ჟენევა, 1987) გამოქვეყნებული ჟ. დიუმევილის „ლაზური (ხოფა) ტექსტის ზმნური ფორმების ანალიზი“. ამ სტატიაში წარმოდგენილია ტექსტი, რომელიც მკვლევარს 1964 წელს ჩაუწერია სინგერელი (ხოფასთან ახლოს მდებარე სოფელი) ტაჰსინ ჩებისაგან).

ტექსტის ენობრივი ბუნება განხილულია „ლაზური მოთხრობების“ „გრამატიკულ ესკიზში“ წარმოდგენილ მოსაზრებებთან მიმართებაში.

ფონეტიკაში შეიმჩნევა თავკიდურა ჰ-ს სრული გაქრობა, ფინალური ან ინტერვოკალური რ-ს დაკარგვა, ან ძ-ში გადასვლა. იგივე პროცესი მიმდინარეობს ნასესხებ ფორმებშიც.

ბრუნების სისტემა ისევეა წარმოდგენილი, როგორც არქაბულში.

ბოლო პუბლიკაციაში ჟ. დიუმევილი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ზმნისწინიან ფორმებს.

ჟ. დიუმევილის მიერ ჩაწერილ ლაზურ ტექსტებს შემოუნახავს არაერთი სიტყვა, როგორც ქართველური წარმოშობის, ასევე თურქიზმები და ბერძნიზმები, რომლებიც სხვა ლაზურ ლექსიკონებში არ გვხვდება. ტექსტები ამ მხრივაც დიდ ინტერესს იწვევს.

ამ ტექსტების შემდგომი მეცნიერული კვლევა არაერთ საინტერესო ფაქტს წარმოაჩენს ლაზური ფონეტიკის, მორფოლოგიის, ლექსიკის კვლევის საქმეში.

Manana Bukia

Georges Dumézil – The scholar of Laz Language

Rezume

A Prominent French scientist made a great contribution to development of Kartvelology (Kartvelian studies).

He recorded and published several editions of Laz texts: „Contes Lazes“ (Laz tales) – in 1937, „Récits Lazes en Dialecte d'Arhavi“ (Laz Stories in Arhavi dialect), within the series „Documents Anatolies sur les Langues et les traditions du Caucase“ – in 1967, „Textes en lazes d'Ardeşen“ (Laz texts from Ardashen), in volumes XXIX-XXX of „Bedi Kartlisa“ – in 1972, „Analyse des formes verbales d'un texte Laze (Hopa)“ (Analyze of the verbal forms from Laze texts (Hopa)), in “Cahiers Ferdinand de Saussure“ – published in 1987 (after the death of G. Dumézil).

„Laz Tales“ and “Laz Stories“ were recorded from a narrator in Arhavi dialect of Laz language with 30 years interval and they distinctly reveal the changes in Laz language during this period.

Prefaced for the texts are the „Grammar Sketches“ by G. Dumézil, dealing with specific issues of Laz phonetics, grammar and lexicology. 1967 „Stories“ include comments by P. N. Boravat, professor of folklore at Ankara University, comparing the stories with Turkish folklore.

In the phonetic system of Arhavi dialect there is a remarkably high number of diphthongs in verbal forms; **f** consonant naturally occurs in „borrowed“ words, being present as well in the basic vocabulary: **imcqfetu** „boasted“, **gomotfu** „covered“, **etfaler** „covering“...; **r** is disappeared in the intervocalic position or > **y** (**oxori** > **oxoy** > **oxo** – „house“, **baraberi** > **baabey** – „together“...). **H** consonant often disappears (**Heko** // **eko** – „this“, **Hangda** // **Andga** – „today“, **daha** // **daa** – „again“...).

G.Dumézil texts preserved many words, which did not occur yet in Laz dictionaries.

სოხუმის უნივერსიტეტის შრომები 5, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 2008, გვ. 47-52

Sokhumi State University's Proceedings, V, Humanities, Social and Political Sciences Series, Tbilisi, 2008, p. 47-52